

## ნადეჟდა ხარაძე

ნადეჟდა ვასილის ასული ხარაძე 1912 წლის 28 დეკემბერს თბილისში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სამუდისო ტექნიკუმი (1928) და ვ. სარაჯიშვილი სახელობის კონსერვატორია (1937, ე. ვროსკის კლასი). 1936 წ. შედგა მისი დებიუტი ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე (მარეხი – ზ. ფალიაშვილის “აბესალომ და ეთერი”).

1936-60 წწ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. მდიდარი ვოკალური მონაცემები, სცენური მიმზიდველობა, განსაკუთრებული სითბოთი და ტემპერამენტით შექმნილი სახეები, საოპერო და საკონცერტო ესტრადაზე მოღვაწეობა – აი, ის, რითაც ხასიათდება ნ. ხარაძის შემოქმედება, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ქართულ ვოკალურ ხელოვნებაში. შესრულებული აქვს პარტიები: მარეხი, მარო, ლატავრა (ზ. ფალიასვილის “აბესალომ და ეთერი”, “დაისი”, “ლატავრა”), ცირა (მ. ბალანჩილას “დარეჯან ცბიერი”), ქეთო (ვ. დოლიძის “ქეთო და კოტე”), ტურფა (ვ. გოკიელის “პატარა კახი”), თინათინი (შ. მშველიძის “ამბავი ტარიელისა”), რუქაია (მ. იპოლიტოვიანოვის “ლალატი”), მარადო, ქეთევანი (ა. ანდრიაშვილის “ლაშქარა”, “ჩხიკეთა ქორწილი”), დედოფალი (ა. ბუკიას “დაუპატიჟებელი სტუმარები”), პირიმზისა (ა. კერესელიძის “ბაში-აჩუკი”), მარფა (ნ. რიმკი-კორსიკოვის “მეფის საცოლე”), იოლანტა (პ. ჩაიკოვსკი “იოლანტა”), ჯილდა, ვიოლეტა (ჯ. ვერდის “რიგოლეტო”, “ტრავიატა”), როზინო (ჯ. როსინის “სევილიელი დალაქი”), სუზანა (მოცარტის “ფიგაროს ქორწინება”), მარგალიტა (ჯ. მეიერბერის “ჰუგენოტები”), მუზეტა (ჯ. პუჩინის “ბოჰემა”), პერიკოლა (ჟ. ოფენბახის “პერიკოლა”), ფრასკიტა (ჟ. ბიზეს “კარმენი”) და სხვა.

1960 წ. იყო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი.

1941 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1946 წ. საქ. სახალხო არტისტის წოდება.

## ნადეჟდა ხარაძის პირადი საარქივო ფონდი

1. ნ. ხარაძის პირადი ფურცელი კადრების აღრიცხვისათვის.  
1939 წ. 25 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
2. ნ. ხარაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1939 წ. 25 ივნისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
3. ნ. ხარაძის ავტობიოგრაფია.  
1939 წ. 26 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
4. ნ. ხარაძის ავტობიოგრაფია.  
1939 წ. 26 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
5. ნ. ხარაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1946 წ. 30 აგვისტო. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 5 გვ.
6. ნ. ხარაძის ავტობიოგრაფია.  
1946 წ. 10 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
7. საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის ცნობარი, ნ. ხარაძის შესახებ.  
1954 წ. 29 თებერვალი. ბლანკი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 3 გვ.
8. ნ. ხარაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1954 წ. 8 აპრილი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ერთვს ფოტო. რუსულ ენაზე. 4 გვ.
9. ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მიერ გაცემული, ნ. ხარაძის დახასიათება.  
1954. 20 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
10. ნ. ხარაძის ბენეფისის პროგრამა.  
1956 წ. თბილისი. ნაბეჭდი. სტამბური. ერთვის ფოტო. რუსულ ენაზე. 8 გვ.
11. ნ. ხარაძის ავტობიოგრაფია.

პირი: ე. ა. ვრონსკი

1958 წ. 31 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. ერთვის შესრულებული როლების სია. რუსულ ენაზე. 3 გვ.

12. სსსრ სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი. ცნობარი.

1959 წ. 9 მაისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

13. ნ. ხარაძის რეპერტუარი ოპერის თეატრისთვის.

უთარილო. პერგამენტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

14. ნ. ხარაძის საოპერო რეპერტუარი.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

15. ნ. ხარაძის თბილისის სახ. კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის დამთავრების მოწმობა.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

16. ნ. ხარაძის მოკლე დახასიათება.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

17. სსსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ, ნ. ხარაძის მოკლე დახასიათება.

უთარილო. ნაბეჭდი. თბილისი. 2 ეგზ. რუსულ ენაზე. 2 გვ.

18. ნ. ხარაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

უთარილო. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ერთვის ფოტო. რუსულ ენაზე. 4 გვ.

19. ნ. ხარაძის ავტობიოგრაფია.

პირი: ე. ა. ვრონსკი

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

20. ნ. ხარაძის ავტობიოგრაფია.

პირი: ი.ბ. ვრონსკი; ი.ბ. სტალინი.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

21. ნ. ხარაძის ავტობიოგრაფია

პირი: ე. მიქელაძე; მ. კვალიაშვილი; ვ. ჭაბუკიანი; ვ. წიგნაძე; ზ. კიკალეიშვილი; პ. ამირანიშვილი.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

არქივი დაამუშავა დავით ოყუჯავამ (2019 წ.)